30 ნოემბერი
ხუთშაბათი,
1961 წ.
№ 195 (1831)
გამოცემის 30-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების, აგრეთვე პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო



# ასე გადაწყდა კასაბლანკაში

წინამდებარე სეზონი კალათბურთში შეტად მრავალფეროვანი იქნება. — მოეწყობა სხვადასხვა ტურნირი, თასების გათამაშება, საერთაშორისო მატჩები. ამის შესახებ ამას წინათ იმსჯელა კასაბლანკაში გამართულმა ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების კალათბურთის ფედერაციის მუდმივი კონფერენციის VI სესიამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა კალათბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ნ. სემაშკო. იგი კორესპონდენტებს ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ყველა თამაში (მეოთხედფინალამდე) უნდა დამთავრდეს 1962 წლის 31 იანვრამდე, მეოთხედფინალები ჩატარდება 1 თებერვლიდან 15 მარტამდე, ნახევარფინალები — 16 მარტიდან 30 აპრილამდე, ხოლო ფინალები—1-31 მაისს. შესაძლებელია შეიცვალოს ნახევარფინალებისა და ფინალების ჩატარების ვადები.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში პირველად გამოვლენ ირლანდიის (ვაჟებში), ესპანეთის, თურქეთის, მაროკოსა და პორტუგალიის (ქალთა შორის) გუნდები. შეჯიბრება ჩატარდება ოლიმპიური სისტემით. მოწინააღმდეგე გუნდები ერთმანეთს შორის ითამაშებენ ორჯერ. გუნდმა თუ ერთი შეხვედრა მოიგო, მეორე კი წააგო, გამარჯვებულს გამოავლენს ჩაგდებული და მიღებული ბურთების შეფარდება.

სესიის მუშაობაში მონაწილე ფედერაციების უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოთქვა ამ შეჯიბრების დებულების პირველი და მეხუთე პარაგრაფების გამო. პირველი პარაგრაფის მიხედვით ქვეყანა, რომელმაც მოიპოვა თასი, გათამაშებაში გზავნის 2 გუნდს (თასის მფლობელი და ამ ქვეყნის ჩემპიონი). მეოცემა რიგმა ქვეყნებმა შეიტანეს წინადადება, რომ ქვეყანა, რომელიც მოიპოვებს ევროპის ჩემპიონთა თასს, მომდევნო შეჯიბრებაში გამოვიდეს არა 2, არამედ ერთი გუნდით, ვინაიდან დელეგატების აზრით თასის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა გუნდები, რაც აქვეითებს სპორტულ ინტერესს შეჯიბრებისადმი.

სესიაზე გადაწყდა, რომ ევროპის VI ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის, რომელიც განზრახულია მოეწყოს საფრანგეთში, დაიწყოს 1962 წლის 23 სექტემბერს და გაგრძელდეს 7 დღეს. ვაჟთა XIII ჩემპიონატის მოწყობაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ იტალია, საფრანგეთი და პოლონეთი. ეს უფლება მოიპოვა პოლონეთმა. რადგან 1964 წელი ოლიმპიურია, ევროპის ჩემპიონატი გაიმართება 1963 წლის სექტემბერში.

მსოფლიოს IV პირველობის გათამაშება ვაჟთა გუნდებისათვის მოეწყობა მანილში (ფილიპინები) 1962 წლის 1-15 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქის სპორტულ დარბაზი იტევს 25.000 კაცს. ქალთა ჩემპიონატის ჩატარება თავდაპირველად განზრახული იყო პერუში. თუ ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაცია 1962 წლის პირველ იანვრამდე არ გამოგზავნის თანხმობას ჩემპიონატის მოწყობის შესახებ, იგი გაიმართება ჩეხოსლოვაკიაში. თუ ამ უკანასკნელმაც უარი თქვა, გათამაშება მოეწყობა ბრაზილიაში.

## ევროპის ჩემპიონთა თასზე

გაიმართა პირველი შეხვედრები ევროპის ჩემპიონთა თასზე კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. კოპენჰაგენში ადგილობრივმა „სიზიუმ“ მიიღო სტუმრები ფინეთიდან („კისა ტოვერიტი“). მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 70:57.

დასავლეთ გერმანიის გუნდმა „ჰეიდელბერგმა“ ლუქსემბურგში დაამარცხა ვეველბრუკის „ეტცელი“ — 66:51.

ვალერია კუზმენკო და იური ტატოვი ყველა სპორტისმოყვარულისათვისაა ცნობილი. პირველი გამოჩენილი ჩოგბურთელია, მეორე — გამოჩენილი ტანმოვარჯიშე. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მათ სულ ახლახან შექმნეს საკუთარი ოჯახი.

სურათზე: ცოლ-ქმარი ვ. კუზმენკო და ი. ტატოვი.

## ლიდერი შეიცვალა

სარატოვი. (ტელეფონით). ფეხბურთელთა შეჯიბრების მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვის „დინამოსა“ და ვმფ-ს გუნდების თამაში. ამ მატჩის შედეგზე იყო დამოკიდებული ვმფ-ს ლიდერობის საკითხი. მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა დინამოელთა უპირატესობა. მათ შეძლეს კიდეც ძლიერი მეტოქის დამარცხება — 2:1.

ამ დღეს თბილისის „დინამო“ შეხვდა ლენინგრადის „ბალტიკას“. 4 პერიოდის განმავლობაში უპირატესობა თბილისელ ფეხბურთელთა მხარეს იყო, მათ მეტოქის კარში 3 ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი მხოლოდ 1 მიიღეს. მოსკოვის „ბურევესტნიკისა“ და „ტრუდის“ (რსფსრ) გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 3:2. ლვოვის „დინამოსა“ და ბაქოს კკუ-ს მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ნოემბრისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 10 | 8 | 2 | 0 | 42:19 | 18 |
| ვმფ | 10 | 8 | 1 | 1 | 36:17 | 17 |
| „დინამო“ თბ. | 10 | 7 | 1 | 2 | 32:20 | 15 |
| „ბურევესტ.“ მ. | 10 | 5 | 2 | 3 | 26:22 | 11 |
| „დინამო“ ლვ. | 10 | 3 | 2 | 5 | 25:31 | 8 |
| „ბალტიკა“ ლდ. | 10 | 0 | 4 | 6 | 16:33 | 4 |
| „ტრუდი“ რსფსრ. | 10 | 1 | 2 | 7 | 18:40 | 4 |
| კკუ ბაქო. | 10 | 0 | 3 | 7 | 25:38 | 3 |

## „ფეხბურთი საბჭოთა კავშირში“

ლენინგრადში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა წარსულში ცნობილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის მიხეილ პავლეს-ძე ბუტუსოვის წიგნი „ფეხბურთი საბჭოთა კავშირში“.

## საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

საბჭოთა ფეხბურთელები, „ა“ კლასის გუნდები სავასტროლოდ იმყოფებიან უცხოეთის ქვეყნებში, სადაც ატარებენ საერთაშორისო მატჩებს ადგილობრივ გუნდებთან.

მოსკოვის ტორპედოელებმა მოათავეს ტურნე ბირმაში, რის შემდეგ ორი თამაში ჩაატარეს კამბოჯაში ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდთან. ორივე მატჩი მოიგეს მოსკოველებმა შესაბამისად 3:0 და 2:0.

მარცხი განიცადა კიშინიოვის „მოლდოვამ“ რუმინეთში. ქ. გალაცში იგი შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“, რომელიც რუმინეთის პირველობაზე „ბ“ კლასში თამაშობს. „მოლდოვა“ დამარცხდა ანგარიშით 1:2. მეორე მატჩი მოლდოველებს ჰქონდათ ქ. იასში ახალგაზრდული სპორტკლუბის ნაკრებთან. გამარჯვება ამჯერად დარჩათ სტუმრებს — 3:1.

სოჭი (როსტოვი) განაგრძობს ტურნეს ჩინეთში. აქ როსტოველებმა მოუგეს ტიანელზინის პროვინციის ნაკრებს (2:1) და ფრედ ითამაშეს შანხაის ნაკრებთან (1:1).

ორი მატჩი ჩაატარა ინდოეთში ცსკა-მ ანდრეა პრადეშის შტატში. არმიელებმა მოუგეს ადგილობრივ ნაკრებს 5:0, რის შემდეგ შეხვდნენ ინდოეთის არმიის გუნდს და აქაც გაიმარჯვეს — 6:0.

# პროფკავშირების სპორტული საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პლენუმი

მოსკოვში ჩატარდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს IV პლენუმი. მოხსენება „სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ამოცანების შესახებ“ — გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ზუბკოვმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს „ენერგიის“, „ტრუდის“, „ნეფტიანიკის“, „უროჟაის“ სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეებმა, ამხანაგებმა — ხ. ნუგმანოვმა, ა. ვახილევმა, ხ. სალმანოვმა, ვ. ვეშკინმა, აგრეთვე ი. ზადორინმა — სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ სვერდლოვსკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ზ. ფედერენკომ — სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრკ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ე. ვალუევი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების ამოცანების შესახებ. პლენუმმა გადაუდებელ ამოცანად ჩათვალა, რომ 1962 წლის ბოლოსათვის ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რიცხვი გადიდდეს 16 მილიონამდე, შვიდწლედის ბოლოსათვის კი 21-22 მილიონამდე.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს ტურიზმმა, ნადირობამ, თევზაობამ და დასვენების სხვა მასობრივ-გამაჯანსაღებელმა სახეობებმა. პლენუმმა ამოცანად დასახა — 1962 წელს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაებას 6-7 მილიონი მშრომელი. შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვოს საწარმოო ტანვარჯიშმა.

სურათზე: საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — ლანჩხუთის „გურია“.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

### ფეხბურთში საქართველოს 1961 წლის პირველობის ჩატარებული გამარჯვებული გუნდების ფინალური თამაშების ცხრილი

**I ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 14 | 11 | 2 | 1 | 36:11 | 24 |
| ადგ. მრეწ. ხამ. (თბილისი) | 14 | 8 | 4 | 2 | 32:13 | 20 |
| „კახეთი“ (გურჯაანი) | 14 | 9 | 1 | 4 | 28:12 | 19 |
| „განთიადი“ (ცხინვალი) | 14 | 6 | 3 | 5 | 24:25 | 15 |
| „შირაქი“ (წით. წყარო) | 14 | 5 | 4 | 5 | 16:20 | 14 |
| „აბული“ (ახალქალაქი) | 14 | 3 | 3 | 8 | 26:45 | 9 |
| „ქსანი“ (ლენინგორი) | 14 | 2 | 2 | 10 | 14:40 | 6 |
| ავტოსარემონ. ქარხ. (გუდაუთა) | 14 | 2 | 1 | 11 | 10:20 | 5 |

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახოფ. ხამ. ინსტ. (თბილისი) | 14 | 10 | 3 | 1 | 26:7 | [illegible] |
| „განთიადი“ (ლანჩხუთი) | 14 | 10 | 2 | 2 | 26:10 | [illegible] |
| „ტორპედო“ (გაგრა) | 14 | [illegible] | 3 | 4 | 22:11 | [illegible] |
| „განთიადი“ (ზუგდიდი) | 14 | 6 | 3 | 5 | 18:24 | [illegible] |
| ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) | 14 | 5 | 2 | 7 | 22:25 | [illegible] |
| გამამდიდრ. ფაბრ. (ტყვარჩელი) | 14 | 5 | 2 | 7 | 21:24 | [illegible] |
| ორთქლმავალვაგ. შემკ. ქარ. (თბილისი) | 14 | 3 | 1 | 10 | 7:34 | [illegible] |
| „სპარტაკი“ (ცხაკაია) | 14 | 2 | 0 | 12 | 18:25 | [illegible] |

# ახალგაზრდა საწარმოს ტრადიციები

ქარხანა „გორიხელსაწყო“ სულ სამი წლისაა. საწარმოს ახლო მომავალში გაფართოების პერსპექტივები აქვს დასახული, მაგრამ ჯერჯერობით იგი დიდ სივიწროვეს განიცდის.

აქ სამასამდე მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაობს, რომელთაგან 150 ახალგაზრდა ჩაბმულია მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობაში. მათ არა აქვთ სპორტული ბაზები, სივიწროვე შესამჩნევად აფერხებს საამქროთა მუშაობასაც, მაგრამ მონდომებულ ახალგაზრდებს მაინც გააქვთ თავისი, იყენებენ მეზობელ საწარმოთა ბაზებსა და აქტიურად ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას.

ქების ღირსია „განთიადის“ საქარხნო ფიზკულტურული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. ლალებაშვილი. მან მუშაობა დაიწყო იმით, რომ ჩამოაყალიბა კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის, ქართული და თავისუფალი ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და სროლის სექციები.

ქარხნის კალათბურთელები სამი წელია ინარჩუნებენ გორის ჩემპიონის სპატიო წოდებას „განთიადის“ კოლექტივებს შორის და ქალაქის სპორტკავშირის გარდამავალ თასს. ისინი წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სპარტაკიადაზე, დაამარცხეს თბილისის, ცხინვალის, რუსთავის, სოხუმის კალათბურთელები და ქუთაისელი სპორტსმენების შემდეგ მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო საქართველოს პროფკავშირთა III საგაზაფხულო სპარტაკიადაზე მოიპოვეს პირველი ადგილი.

სისტემატური ვარჯიშით იმაღლებენ სპორტულ დონეს ქარხნის ფეხბურთელები. ნაყოფიერად მუშაობს ჭიდაობის სექციაც. ქარხნის მოწინავე მუშები ზ. ბალთაშვილი, კ. დათაშვილი და ს. ვანიშვილი გორის ჩემპიონები არიან ქართულ ჭიდაობაში. მათ არც სხვა სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდები ჩამორჩებიან.

ქარხანაში არ არსებობს მძლეოსნობის სექცია, მაგრამ არიან ცალკეული დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და წარმატებასაც აღწევენ. ხარატმა რ. გულოვმა 3 კილომეტრზე რბენაში „განთიადის“ საქალაქო პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა და II თანრიგის ნორმა შეასრულა.

პერიოდულად ეწყობა შიდასაქარხნო შეჯიბრებანი, ფეხბურთში, ჭადრაკსა და ტყვიით სროლაში ქარხნის ჩემპიონები არიან მექანიკური და საამწყობო საამქროები და ხარჯვის რელეს უბანი. ქარხანაში ტრადიციად იქცა ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალისა და მუშათა ფეხბურთელთა გუნდების ყოველწლიური ტურნირი, ინჟინერ-ტექნიკოსებმა ჩატარებული 3 შეხვედრიდან 2 მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

ფიზკულტურულ კოლექტივს დახმარებას უწევენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ფიზკულტურის საქარხნო საბჭოს მომავალი პერსპექტივები საინტერესო დონისძიებათა ჩატარებას ითვალისწინებს. მომავალ ზამთარში განზრახული აქვთ მოახდინონ თხილამურებით გადასვლა: გორი-ბოშური-ბაკურიანი, მოაწყონ ამხანაგური შეხვედრები ბამბეულის კომბინატისა და სხვა საწარმოთა სპორტსმენებთან კალათბურთში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში.

ქარხნის ტერიტორიის გაფართოება, რომელიც მალე უნდა განხორციელდეს, დიდ იმედებს აძლევს ფიზკულტურელებს. მათაც მიეცემათ საშუალება საკუთარი სპორტული ბაზების მოწყობაზეც იფიქრონ.

**ი. თევდორაშვილი,**

ჩვენი საკ. კორესპონდენტი.



# გაერთიანებული გუნდების უპირატესობით

ჩატარდა თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ხუთი სახეობა. პირველ ადგილზე გამოვიდა საგამომჭრელო და მექანიკური საამქროების ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები. მეორე ადგილზე არიან № 1 და № 2 შემკერავი საამქროების ერთიანი კოლექტივი.

**ჯ. მორგოშია**

ამ დღეებში თბილისში გამართულ 4 ქალაქის მძლეოსანთა მატჩზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებიდან თავის გუნდს ყველაზე მეტი ქულა მისცა სამხტომში გამარჯვებულმა ვ. ჩხეიძემ. მან დაძლია 15 მეტრი და 62 სანტიმეტრი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩხეიძის მიერ ნაჩვენებ ქულათა ჯამს ვერც სხვა ქალაქების წარმომადგენლები მიუახლოვდნენ. ჟიურიმ ვ. ჩხეიძეს მიაკუთვნა სპეციალური პრიზი, რომელიც დაწესებული იყო საუკეთესო შედეგებისათვის.

* * *

სურათზე: ვ. ჩხეიძე თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე სამხტომში გამარჯვების შემდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა

# რაიაღმასკომის სხდომაზე

ამ დღეებში გაიმართა ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომა, სადაც რაისაბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარის ი. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენება მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის შესახებ.

1961 წელს ქობულეთის რაიონის სპორტსმენებმა მთელ რიგ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გადაჭარბებით შესრულდა სპორტსმენ-თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები. დიდი ყურადღება ეთმობოდა სპორტული ბაზებისა და მოედნების კეთილმოწყობის საქმეს. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს რაიონის ველოსიპედისტებმა, ლელობურთელებმა, მოჭიდავეებმა, ფეხბურთელებმა და სხვ.

მომხსენებელი შეჩერდა ნაკლოვანებებზეც. ჯერ კიდევ სუსტად დგას ფიზკულტურული მუშაობა რაიონის ჩაის ფაბრიკების, სავაჭრო დაწესებულებათა და საზოგადოება „სპარტაკისა“ და „განთიადის“ კოლექტივებში. მან გააკრიტიკა იმ საზოგადოებათა საოლქო საბჭოები, რომლებიც სუსტად ხელმძღვანელობენ მათზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს. სავაჭრო ორგანიზაციები ნაკლებად ამარაგებენ რაიონს სპორტული ფორმებითა და ინვენტარით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს რაიონის რიგი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივები. მათ შორის უნდა აღინიშნოს კვირიკის, ალამბრის, მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობები, ხალას, კახათისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

პრეზიდიუმმა დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

**ლ. ტრაპაიძე**

# კომკავშირული აქციის მონაწილეობით

სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის ინიციატივით ამ დღეებში მოეწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით — თბილისი-ზაპესი-ზედაზენი-საგურამო-თბილისი.

ლაშქრობაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის კომკავშირელთა აქტივი: კომიტეტის მდივანი ნ. ქავთარაძე, მდივნის მოადგილე ა. მურუსიძე, კომიტეტის წევრები ი. ნემსიწვერიძე, რ. ცერცვაძე, ლ. გეგუჩაძე და სხვები, სულ 18 ახალგაზრდა.

ლაშქრობის მონაწილეები ესტუმრნენ ჯვრის, ზედაზნის მონასტრებს, დათვალიერეს ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში და ახალი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ თბილისში. ლაშქრობის მონაწილეებმა შეასრულეს „საბჭოთა კავშირის ტურისტს“ სამკერდე ნიშნის მიღებისათვის საჭირო ნორმატივი.

**ჰ. მელაძე,**

ლაშქრობის ხელმძღვანელი.

**დუშეთის რაიონის სოფ. ანანურის საშუალო სკოლის ფიზიკაზრდის მასწავლებელს დ. ქავთარაძეს აინტერესებს: 1. ჩატარდება თუ არა მძლეოსანთა მსოფლიო პირველობა და 2. დამტკიცდა თუ არა ირლანდიის მძლეოსანთა ფედერაციის წინადადება — შედეგების გაზომვა სიგრძეზე ხტომაში მოხდეს არეკნის ადგილიდან.**

მძლეოსნობაში მსოფლიო პირველობის ჩატარება უახლოეს ხანებში არაა მოსალოდნელი, რაც შეეხება მისი გამართვის პერსპექტივებს, ეს დამოკიდებულია ეროვნული ფედერაციების სურვილებსა და საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებაზე.

ირლანდიის მილეოსანთა ფედერაციის წინადადება, რომ სიგრძეზე ხტომაში შედეგების გაზომვა მოხდეს არეკნის ადგილიდან, არ იქნება მიღებული.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველი ვ. ბარამიძე გვეკითხება, თუ ვინ არიან ლენინგრადის ავტორბოლაში გამარჯვებულნი — ზარდიაშვილი, გარსევანიშვილი და ჩერკაშინი, აქვთ თუ არა მათ სპორტული თანრიგი.

ზარდიაშვილი, გარსევანიშვილი და ჩერკაშინი არიან თბილისის დინამოს სპორტსმენები. სამივეს აქვს სპორტის ოსტატის წოდება.

★

**თბილისის თამბაქოს მე-2 ფაბრიკის მუშა-მოხამსახურეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭადრაკი.**

**სურათზე: წითელ კუთხეში შესვენების დროს ახალგაზრდა მუშები ჭადრაკის დაფებს შემოსხდომიან.**

ფოტო ვ. გოგაძისა.

★

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 195 (1881)

# მ ა ტ ჩ ი
## საკავშირო პირველობის წინ



# 5:3

კლასიკურ ჭიდაობაში საკავშირო გუნდურ პირველობამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. და აი, სწორედ ახლა, ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებს მოუხდათ ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდთან. ზემოაღნიშნულ პერსპექტივაში ეს იყო საუკეთესო საშუალება სპარინგ-მატჩისათვის, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეები ხვდებოდნენ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს და მათთან ბრძოლის შედეგიც ჩვენი საერთაშორისო მატჩების აქტივში უნდა ჩაწერილიყო. ამ თვალსაზრისით გუშინდელ მატჩს ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა.

ის გარემოება, რომ სტუმრები გამოვიდნენ აშკარა საბრძოლო განწყობილებით და გამარჯვების მოპოვების მტკიცე სურვილით, ცხადი გახდა პირველივე შეხვედრიდან. და, სხვათაშორის, სწორედ ამ მტკიცე განწყობილების შედეგი იყო ის, რომ ფაქტიურად ბოლო ორ წონით კატეგორიამდე არ შეიძლებოდა იმის თქმა, თუ ვის მხარეზე გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი.

პირველ წონით კატეგორიაში ჩეხოსლოვაკიის გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ, ამაზე არაფერს მიუნიშნებდა გაუპტფოგელისა და ზ. მირიანაშვილის ორთაბრძოლის პირველი ექვსი წუთი, რომელიც სრულიად უფერულად ჩატარდა. მეტოქეები პასიურობდნენ, ვერ ბედავდნენ აბსოლუტურად ვერაფერს. ჩოქბჯენში მირიანაშვილმა კვლავ ვერ მოახერხა ქულის აღება, ხოლო როცა როლები შეიცვალა, ჩეხმა მოხდენილი ილეთით მოიპოვა ორი ქულა და გამარჯვებულმა დატოვა ასპარეზი.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ: მცირე გამონაკლისის გარდა, ჩვენს სპორტსმენებს არათანაბარ პირობებში უხდებოდათ ბრძოლა სტუმრებთან. ჩეხოსლოვაკელები, როგორც წესი, უცდიდნენ მოწინააღმდეგის იერიშს და არავითარ შემთხვევაში არ აქტიურობდნენ თვითონ (თუ არ აგებდნენ შეხვედრას). ეს გარკვეულ უპირატესობას უქმნიდა მათ, რადგან შეტევაზე მყოფი მეტოქის შეცდომაზე დაჭერა და კონტრილეთის ჩატარება გაცილებით უფრო ადვილია. კერძოდ, ამ ნიშნით ჩატარდა მჩატე წონაში იან გორნიაკისა და ზ. უგრეხელიძის შეხვედრაც. პირველ ექვს წუთში ამ უკანასკნელს მიჰქონდა იერიში, ხოლო ი. გორნიაკი გამუდმებით „კეტავდა“ მას და ჭიდაობაც სანახაობრივად მეტად ღარიბი და უინტერესო გახდა. მხოლოდ ჩოქბჯენში მიეცა საშუალება ზ. უგრეხელიძეს ორჯერ „გადაეტრიალებინა“ მოწინააღმდეგე და ამით გაეთანაბრებინა ანგარიშიც გუნდურ ჩათვლაში.

მატჩის საუკეთესო შეხვედრა იყო ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონის, მსოფლიო პირველობის პრიზიორის ირჟი შვეცისა და 19 წლის რომან რურუას ორთაბრძოლა. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რ. რურუას სახით ჩვენ კარგი მომავლის მქონე სპორტსმენი გვეზრდება და მისგან ბევრს უნდა ველოდოთ. მრისხანე მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ახალგაზრდა მოჭიდავის აქტიურობას ჭეშმარიტად საზღვარი არ ქონდა. იგი ჭიდაობდა ყველგან: დგომშიც, ჩოქბჯენშიც, მაშინაც კი, როცა თავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა. რაც მთავარია, ეს აქტიურობა დაფუძნებული იყო კარგ, მრავალფეროვან ტექნიკაზე და ბრწყინვალე და სწრაფ ტაქტიკურ აზროვნებაზე. საკმარისია ითქვას, რომ ჩოქბჯენში, როცა ზევიდან ჩეხი ჭიდაობდა, რურუა ორჯერ აბჯუა მის ილეთს, „ჰაერში“ გაუმართა მას ბრძოლა და ორჯერვე თვითონ მოიპოვა ქულები. შესანიშნავი იყო ამ შეხვედრის ფინალი: მე-11 წუთზე ჩეხმა ორივე ხელში მოიგდო რურუას წელი და „ჩატეხა“ იგი. ძალისმიერ ბრძოლაში ჩვენი მოჭიდავე, უკეთეს შემთხვევაში, ორი წამგებიანი ქულით უნდა გამოსულიყო კრიტიკული მდგომარეობიდან. და აი, როცა ყველა ელოდა რაღაც საშინელს, რურუამ ელვისებური მოგვერდი გაუკეთა შვეცს და ბეჭებზე დასცა იგი. ბრწყინვალე გამარჯვება!

ჩვენი გუნდის ეს უპირატესობა 1 წუთსა და 16 წამში გააქარწყლა ირჟი მეკგედმა. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორი ჩეხი გვერდითი მსაჯის „ელვისებური“ გადაწყვეტილება მ. წოწორიას ბეჭებზე ყოფნის შესახებ მეტად საეჭვო იყო. ასეა თუ ისე, ანგარიშის გათანაბრება თითქოს ბევრს არაფერს ემუქრებოდა ჩვენს გუნდს, რომელსაც მომდევნო წონით კატეგორიებში გამოჰყავდა ა. ქორიძე და დ. გვანცელაძე. სტუმრების სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორედ აქ შეძლეს ის, რასაც არავინ ელოდა. ა. ქორიძე მთელი 12 წუთის მანძილზე აქტიურობდა რ. გრუბთან შეხვედრაში, მაგრამ ვერ მოახერხა ვერცერთი ქულის აღება — ფრე. ასევე აქტიურობდა პირველ სამ წუთს დ. გვანცელაძე ი. ლოუკოდასთან, რომელმაც ამ დღეს საუკეთესო მხრივ აჩვენა თავი. მე-4 წუთზე გვანცელაძემ შეძლო მეტოქის „აგლეჯა“ ხალიჩიდან და გადაიტანა იგი, მაგრამ მოულოდნელად კონტრილეთით მასთან ერთად აღმოჩნდა ხიდურზე. აქ გაიმართა ხანმოკლე ძალისმიერი ბრძოლა, რომელიც ლოუკოდას სასარგებლოდ გადაწყდა: იგი მოექცა ზევიდან. შემდეგ შეხვედრა ფრთხილად წარიმართა და მხოლოდ მე-11 წუთზე შეძლო გვანცელაძემ ჩოქბჯენში გადაეყვანა მეტოქე. მსაჯთა გადაწყვეტილება გვანცელაძის გამარჯვების შესახებ მხოლოდ ხანგრძლივი დავის შემდეგ იქნა გამოტანილი. ყოველ შემთხვევაში, ახლა თუ ისე, სტუმრებს დავის საფუძველი მიეცათ.

გუნდური ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ქვემძიმე წონამ. აქ ი. კორმანიკსა და ფ. გველესიანს შორის ბრძოლა საკმაოდ დრამატულად წარიმართა. პირველივე წუთზე ფ. გველესიანი შეტევაზე გადავიდა და კონტრილეთით თვითონვე აღმოჩნდა ჩოქბჯენში. ეს ქულა ჩვენმა მოჭიდავემ ვერ შეინარჩუნა მე-5 წუთზე, როცა ჩოქბჯენში-მყოფ იუხ ორ ქულიანი ილეთი ჩაუტარა. უკანასკნელი წყვილის წინ გუნდური შედეგი გახდა 4,5:2,5 საქართველოს მოჭიდავეთა სასარგებლოდ.

მძიმე წონაში 20 წლის თ. ხითარიშვილმა დაიჯერებელი უპირატესობა მოიპოვა 16 კილოგრამით უფრო მძიმე 19 წლის გოლიათზე, 130 კგ წონის მქონე პეტერ კმენზე. სამწუხაროდ, ვერც ეს შედეგი იქნა ფიქსირებული ობიექტურად და ხანგრძლივი დავის შემდეგ გამოცხადდა ფრე.

5:3 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ: ჩვენი მოჭიდავეების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის თავის საუკეთესო სპორტულ ფორმაში და ეს მაშინ, როცა საკავშირო პირველობას არაფერი უკლია.

შ. ჯუღელი

* * *

**სურათზე:** ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის პრიზიორი ირჟი შვეცი ორივე ბეჭზე აღმოჩნდა რ. რურუას ელვისებური მოგვერდის შემდეგ. ჩეხი მსაჯი ხელის აწევით აღნიშნავს თანამემამულის დამარცხებას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ჩემპიონატი და თასი

**„ნოვოსტის“ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის სამი შეკითხვა საბჭოთა კავშირის კრივის ფედერაციის თავმჯდომარეს ნ. ნიკიფოროვდენისოვს.**

**სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა (აიბა) გადაწყვიტა ევროპის მორიგი პირველობა მოსკოვში ჩაატაროს. კონტინენტის კიდევ რომელი ქვეყნები აცხადებდნენ პრეტენზიას ჩემპიონატის ჩატარებლად?**

— ევროპის 1963 წლის ჩემპიონატის ჩატარების სურვილი გამოთქვეს რუმინეთის, უელსისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კრივის ფედერაციებმა. მაგრამ ჯერ კიდევ კანდიდატურების შერჩევამდე გფრ-ს საკითხი მოიხსნა. აიბა-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის კრივის ფედერაციას მიანდეს. კონტინენტის პირველობა გაიმართება მოსკოვში 1963 წლის მაისს მეორე ნახევარში. შეჯიბრება ჩატარდება სპორტის სასახლეში.

**როგორია მოსალოდნელი შეჯიბრების თავისებურებანი?**

— ეს შეჯიბრება ევროპის მოკრივეებისათვის უკანასკნელი გამოცდა იქნება ტოკიოს ოლიმპიადის წინ. ევროპის რინგის „ვარსკვლავები“ უეჭველად მოიყრიან თავს მოსკოვში.

დარწმუნებული ვარ არც ჩვენი სპორტსმენები გამოვლენ თავიანთ შესაძლებლობებზე დაბლა. თუ მათ ბელგრადში შეძლეს ევროპის ჩემპიონთა ოქროს ხუთი მედლის მოპოვება, მშობლიურ დედაქალაქში მით უმეტეს შეეცდებიან დაიცვან თავიანთი მაღალი კლასის პრესტიჟი და დამტკიცონ, რომ შემთხვევითი არ იყო 1961 წლის ტრიუმფი. ამ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქვეყანაში კრივის განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს კრივის სექციების ახალი წევრებით შევსებას. გარდა ამისა, ჩვენი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის სასარგებლო იქნება საზღვარგარეთული კრივის ახლო გაცნობა.

**გათამაშდება თუ არა ევროპის თასი კრივში?**

— ჩვენ წინადადება შევიტანეთ დაწესდეს კონტინენტის თასი მოკრივეებისათვისაც და თასის დებულების პროექტიც შევიმუშავეთ. ჩვენმა წინადადებამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მხრივ. საყოველთაო უურადღება მიიპყრო ევროპის მოკრივეთა გუნდური შეჯიბრების იდეამ. ჩვენი წინადადებაა ყველა ფედერაციამ გაიღოს 20 გირვანქა სტერლინგი, რათა აიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ თანხით შეიძინოს გარდამავალი თასი და მედლები.

შეჯიბრება უნდა ჩატარდეს ოლიმპიური სისტემით. ეროვნული ნაკრები გუნდები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს — საკუთარ და მოწინააღმდეგის რინგზე. ამას ყველა დაეთანხმა. გაურკვეველი დარჩა მხოლოდ შეხვედრათა განრიგი: ყველა გუნდი მონაწილეობდეს თანაბარი უფლებით, თუ მონაწილენი წინდაწინ დაიყვნენ „ა“ და „ბ“ ჯგუფებად. მეორე ვარიანტისათვის ჩვენი წინადადებაა თვითეულმა ფედერაციამ განსაზღვროს, რომელ ჯგუფში სურს მონაწილეობა. ვფიქრობთ, კრივში ეს იქნება ყველაზე სამართლიანი საშუალება ჯგუფების გასარკვევად. წამოყენებული იყო სხვა ვარიანტებიც. მათი განხილვა მოხდება მომავალი წლის მარტში. შესაძლებელია უკვე 1963 წლიდან დაიწყოს ახალი თასის გათამაშება, რაც საუკეთესო საჩუქარი იქნება კრივის მოყვარულთათვის.






დღეს ჩატარდა ჭადრაკში სსრკ XXIX ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება. სავონმა ტალთან და ვლადიმიროვთან გადადებულ პარტიებში დამარცხება განიცადა და თავის მხრივ მოუგო ხასინს. ტაიმანოვთან წააგო ხოლმოვმა. ეს მისი პირველი დამარცხებაა ტურნირში. ნეიშტადინოვი დამარცხდა ლეინთან. ყაიმით დამთავრდა ტალ-კოცის, ხასინ-სმისლოვის, ლეინ-გურგენიძის, ბაგიროვ-ვასიუკოვის გამოტოვებული პარტიები. 2 პარტია კვლავ გადაიდო.

ტურნირის სათავეში კვლავ სპასკია (6,5 ქულა). შემდგომ ადგილებზე არიან ხოლმოვი და შამკოვიჩი — თვითეულს 5,5 ქულა, ავერბახი (4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ტალი 4,5 ქულით ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

# ვეტერანთა ტურნირი

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ვეტერან ჩოგბურთელთა ყოველწლიური შეჯიბრება, რომელიც სპორტის ამ სახეობის გულშემატკივართა გარკვეულ ინტერესს იწვევს. ამჯერად შეჯიბრებაში სპორტის 24 ვეტერანი მონაწილეობდა.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატები ა. ელერდაშვილი და ვეტერანთა გასული წლის ჩემპიონი ვ. სერებრიანიკოვი. ბრძოლა ვ. სერებრიანიკოვის გამარჯვებით დამთავრდა — 6:8, 6:4, 6:0.

წყვილთა შეხვედრებში ჩემპიონები გახდნენ ე. მერეკულოვი და ე. დავიდენკო, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს გ. ჯაბუა და ა. ელერდაშვილი.

ე. მერეკულოვი


ლ ე ლ ო

ფე-3 ბბ. № 195 (1831)

# იაპონელები ეშმაკობენ

იაპონიის დედაქალაქი გაცხოველებით ემზადება 1964 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის. მნიშვნელოვნად ფართოვდება ტოკიოს ცენტრალური სტადიონი, შენდება მეორე ოლიმპიური ცენტრი კომაცავაში.

დიდ ყურადღებას უთმობენ იაპონელები ტექნიკურ სიახლეებს. ასე, მაგალითად, აქ ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ახალ სარბენ ბილიკზე, რომელიც შედგება კაუჩუკის, რეზინისა და ასფალტისაგან. ამგვარი სინთეტიკური ბილიკი გაცილებით სჯობია ჩვეულებრივს და იაპონელ ორგანიზატორთა აზრით ხელს შეუწყობს ახალი მსოფლიო რეკორდების დამყარებას.

მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ უარი განაცხადა ახალ სარბენ ბილიკებზე შეჯიბრების მოწყობაზე, ვინაიდან იაპონელი მძლეოსნები სისტემატურად ივარჯიშებენ ასეთ ბილიკებზე, სხვა ქვეყნების სპორტსმენები კი მოკლებული იქნებიან ამის საშუალებას.





# ლეივერის გამარჯვება

როგორც ცნობილია, უიმბლდონის დიდ საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ავსტრალიელი როდ ლეივერი მკვეთრად „გამოვიდა ფორმიდან“, მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში იღებდა მონაწილეობას, ვერც ერთგან ვერ დაიკავა პირველი ადგილი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყოველგვარი ტრადიციის წინააღმდეგ ზოგიერთმა მამოძრავებელმა უიმბლდონში გაძარცვეულ ლეივერი არც კი მიიჩნია მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელად მოყვარულთა შორის და მას მისი თანამემამულე ემერსონი ამჯობინა.

ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას წინა ლეივერმა. ამასწინად ბრისბენში (ავსტრალია) დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო ავსტრალიის ყველა თვალსაჩინო ჩოგბურთელმა. თავიდანვე დაწინაურდნენ ლეივერი და ემერსონი, რომლებმაც დაამარცხეს ყველა მეტოქე და ფინალში გავიდნენ. გადამწყვეტი მატჩი მოიგო ლეივერმა 7:5, 6:3. მან ემერსონთან ერთად იოლად მოიგო ავრეთვე შეჯიბრება წყვილთა შორის.

# გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი

გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომელსაც შვეიცის ჩოგბურთელთა კავშირი აწყობს „მეფე გუსტავის თასის“ სახელწოდებით. შესარჩევ თამაშში დანიელებმა ძლიეს პოლონელებს — 4:1, ფრანგებმა — ფინელებს — 3:2, შვედებმა — იტალიელებს — 4:1, ხოლო გფრ-მ — ჰოლანდიის გუნდს — 4:1.

ამგვარად, საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან დანია-საფრანგეთი და გფრ-შვეიცია.

# ფიქრები „მცირე“ ხელბურთზე

**გერმანიაში ჰიტლერული რეჟიმის დროს ბევრი პატიოსანი ადამიანი დაიღუპა. მათ შორის იყო ცნობილი გერმანელი სპორტსმენი, პატრიოტი და ანტიფაშისტი ვერნერ ზეელენბინდერი. ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ იგი სასტიკად ილაშქრებდა არსებული წესწყობილების, არაადამიანური რეპრესიების წინააღმდეგ, რის გამო შესანიშნავი პატრიოტი საპყრობილეში ჩასვეს და 1944 წელს წამებით მოჰკლეს.**

**ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ გდრ-ში ყოველწლიურად ტარდება შესანიშნავი სპორტსმენის ვ. ზეელენბინდერის სახელობის შეჯიბრება ჭიდაობაში.**

**მიმდინარე წელს ეს ღონისძიება გაიმართა ბერლინში, სადაც თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესმა სპორტსმენებმა. აქ განსაკუთრებით თავი ისახელა ქართველმა მოჭიდავემ ნ. ხოხაშვილმა, რომელმაც ყველა შეხვედრა წმიდად მოიგო და მოიპოვა პირველი ადგილი.**

**სურათზე თქვენ ხედავთ შეჯიბრების საერთო ხედს. ქვევით — ნ. ხოხაშვილს (ზემოდან), რომელიც ჩოქბჯენში ილეთს უკეთებს მეტოქეს.**



მსაჯმა ჰ. მიხალკმა მკვეთრად დასტვინა და 7-მეტრიან საჯარიმოზე მიუთითა. „პენალტი“ ხელბურთში! ამ მომენტში რუმინეთის ნაკრების მეკარე მ. რედლის, რომელიც თავისი მხიარული და ცოცხალი ბუნებით გამოირჩევა, სამხიარულოდ არ ჰქონდა საქმე. მის წინააღმდეგ ბურთით ხელში იდგა სსრ კავშირის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი ჯემალ ცერცვაძე. მეკარე უკვე იცნობდა მას.

1961 წლის მსოფლიო პირველობის პირველი შესარჩევი მატჩი დამაჯერებლად მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა — 12:9.

მაშინ მ. რედლის წარმოდგენილიც არ ჰქონდა, რომ მეორე მატჩში მისი მეგობრები შეძლებდნენ რევანშის აღებას ისეთი ანგარიშით, რომ ბურთების სხვაობა მათ ფინალისაკენ გაუხსნიდა გზას და შემდგომში კი რუმინეთის გუნდი შვეიცის გუნდსაც დაამარცხებდა და მშობლიურ ბუქარესტში სანუკვარი ოქროს მედლებით დაბრუნდებოდა.

...ცნობილია, რომ ხელბურთის სამშობლო დანიაა. აქ იგი იშვა პატარა ქალაქ ორდრუპის რეალურ სკოლაში, დაბადების წელია 1898, მშობელი — ტანვარჯიშის მასწავლებელი ნილსენი. რუსული ხელბურთის სამშობლო კი ქალაქი ხარკოვია. აქაც ტანვარჯიშის მასწავლებელმა მალიმ დაამკვიდრა ხელბურთის თამაშის სწავლება ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე. ეს იყო 1909 წელს. უკრაინაში ხელბურთი სწრაფად ვითარდებოდა და უკვე ოცდაათიან წლებში იქ ხელბურთის გუნდები უფრო მეტი იყო, ვიდრე ფეხბურთისა!

1928 წელს ხელბურთი შეტანილ იქნა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში. მაშინ მოსკოვისა და რსფსრ-ს გუნდებმა თავიანთი პირველი საერთაშორისო თამაშები ჩაატარეს გერმანიისა და ავსტრიის მუშათა გუნდებთან. გაიმარჯვეს საბჭოთა ხელბურთელებმა. ხელბურთის აღორძინება ჩვენში 7 წლის წინათ მოხდა. სწრაფად იმატა გუნდების რიცხვმა და 1956 წელს ხელბურთში (11×11) სსრკ პირველობის დამთავრებისთანავე შედგენილმა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი ჩაატარა გდრ-ს საუკეთესო გუნდთან.

გავიდა 4 წუთი და გდრ-ს ცნობილმა „ტანდემმა“: ხირშ—მატცმა უკვე გააკეთა თავისი საქმე — 4:0!

მატჩის დასასრულისათვის ანგარიში იყო 17:0, მაგრამ თამაშის შემდეგ სტუმრების მწვრთნელმა, ხელბურთის ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა ჰ. ზაილერმა განაცხადა: „ჩვენ დაგვჭირდება სერიოზული მზადება მომავლისათვის, თუ ასე არ მოვიქეცით, მრავალი უსიამოვნების გადატანა მოგვიხდება“.

მართალია, 1957 წლის ახალგაზრდობის თამაშებზე გერმანელი მეგობრებისათვის ჩვენ უსიამოვნება არ მიგვიყენებია და მათ ოქროს მედლები წაიღეს კიდეც სამშობლოში, მაგრამ გერმანელთა უპირატესობა ჩვენს გუნდებზე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. შემდეგ მოვიდა გამარჯვებებიც — რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის გუნდებზე...

ახლა ჩვენში ხელბურთს 200 ათასი კაცი თამაშობს, მათ შორის 139 სპორტის ოსტატია. გარდა ამისა, გვყავს 5.000 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

როცა სსრკ ნაკრები თამაშობს, მოედანთან უეჭველად შეამჩნევთ სათვალეებიან მამაკაცს, ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ე. ივახინს. ჩვენს გუნდში ახლა ისეთი ძლიერი მოთამაშეები არიან, როგორებიცაა: მოსკოველები — შიბალკინი, კოსმინინი, ზაიცევი, ლებედევი, თბილისელი ცერცვაძე, კაუნასელი — მაცეკინსკასი, უკრაინელები —ივახინი, კობზარი, მოროზოვი და ეფრემოვი.

რა პერსპექტივები აქვს საბჭოთა ხელბურთს? ამ სეზონში ჩვენი ხელბურთის (7×7) უძლიერესი გუნდები ჩაებნენ ევროპის ჩემპიონთა ორი თასის გათამაშებაში. 1962 წლის აპრილში კაუნასში ჩატარდება სსრ კავშირის პირველი ოფიციალური პირველობა „მცირე ხელბურთში“ (7×7). ეს მეტად სწრაფი და დინამიური თამაში საკმაოდ ავიწროებს თავის უფროს ძმას —ხელბურთს 11×11. ზოგიერთ ქვეყნებში საერთოდ უარი თქვეს დიდ მოედანზე პატარა ბურთით თამაშზე, ჩვენ კი ამის წინააღმდეგი ვართ. 1962 წლის ივლისში ჩატარდება საკავშირო შეჯიბრება დიდ მინდორზეც. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ „მცირე ხელბურთი“ უფრო საინტერესოა. მაგონდება, გასულ ზაფხულში ზაპოროჟელებმა ჭაბუკთა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის თამაშების დაწყებამდე ერთი საათით ადრე, მთლიანად შეავსეს ტრიბუნები. და ეს იმ დროს, როცა თამაშების დასაწყისი დანიშნული იყო დილის ცხრის ნახევარზე. თბილისელმა ამხანაგებმა მითხრეს, რომ უნგრეთ-საქართველოს მატჩზე, რომელიც სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა, ბილეთების შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო.

და მართლაც, ჩვენი ხელბურთი ფართო გზაზე გავიდა. უნებლიედ კვლავ მღელვარე მატჩი გვახსენდება, რომელიც მოსკოვში, იანვარში ჩატარდა.

სამი მეგობარი, სამი ინჟინერი, მოსკოვის „ტრუდის“ სამი თავდამსხმელი. დღეს ისინი განსაკუთრებით კარგად თამაშობენ — მათს წითელ მაისურებზე ოქროს ასოებითაა ამოქარგული დიადი ქვეყნის სახელი — სსრკ.

ი. ლებედევი ეფექტურად ატყუებს მაღალი ტანის განს მოზერს და ბურთს აწვდის ბ. კოსმინინს, ეს უკანასკნელი აკრობატულ ნახტომში დაბალ კუთხეში ურტყამს. რედლი დიდი გაჭირვებით წვდება ბურთს, უკუაგდებს მას და სწორედ ამ მომენტში რუმინელთა დაცვის წინ სწრაფად გაიქროლა ი. ზაიცევმა, ხელთ იგდო ბურთი და ბადეში მოათავსა! ტრიბუნებზე თითქმის საფეხბურთო ოვაციამ იგრიალა.

ჩვენ ვისწავლეთ ხელბურთის თამაში და ახალგაზრდები აღარა ვართ! მალე ჩვენი ბიჭები ალბათ მოსკოვში ოქროს მედლებსაც ჩამოიტანენ, რომლებზეც ხელბურთელის ფიგურაა გამოხატული.

**ლ. პერეპლეტჩიკოვი,**
**„ნოვოსტის“ სპორტული მიმოხილველი.**


**რედაქტორი ი. უგულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00734